№ 15. სახალხო გაზეთი № 15

კვირა, 23 მაისი 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშ.) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ამ ხნის შემდეგ მეტი ეღირება.

**** **ხელის-მომწერთა საყურადღებოდ** ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

თავ. ირაკლი ივანეს ძე და კნეინა ანნა პავლეს ასული ბარათაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ 22 მაისს, თელავში, ძვირფასის

კნ. ნინა ალექსანდრეს ასულის ბარათაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება იქვე, ორშაბათს, 24 მაისს.
(1—ნ.—1)

22 მაისს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ანნა ანტონის ასული ბაქრაძისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქმარი მისი **თადეოზ ზურაბის ძე ბაქრაძე**, მაზლი **დავით ზურაბის ძე** და ძმისწულები: **ალექსანდრე, ჯიბო** და **ანტონი**. წირვა და პანაშვიდი დანიშნულია კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე. დაკრძალვა იქვე. გამოსვენება 24 მაისს, დილის 10 საათზე, მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოდან. (1—292—1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი
ორშაბათს, 24 მაისს,
ქართულ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება
ქრისტინე
დრამა 4 მოქ. და 5 სურათ. ბ. ირეთელისა,
II
ტიმოთეს ლეღვი
ვოდ. 1 მოქ. ი. გრიშაშვილისა.
ადგილების ფასი 60 კ.—5 კ.—მდე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.
დასაწყისი 8½ საათზე.
რეჟისორი **ბ. ბალაშვილი.** ადმინისტრატორი **ა. გოჩიტაშვილი.** (3—3)

კავკ. **სამოსწ.** ოლქის მზრუნველის ნება-დართვით მდგომარე 1910 წლის პირველ სექტემბრიდან ტფილისში გაიხსნება,
პირველად, რუსული და ქართული **ენების**
კურსები

ორივე სქესის ყველა წლოვანთათვის (დაწყებული 12 წლიდან).

კურსების მიზანია მსურველთ შეასწავლოს რუსული ანუ ქართული **წერა-კითხვა და ლაპარაკი**, ეგრედ წოდებული საგნური წესით, რომელიც არა მარტო საუკეთესოდ ათვისებს ყველას ლაპარაკსა და წერა-კითხვასა, არამედ თან საუკეთესოდაც ანვითარებს მათ. სწავლა იქნება 9 თვეს, 1 ენკ. 1-ლ თიბათვემდის, ყოველ დღე, ჯგუფობით, 1½ ს. თვითეულ ჯგუფში, 9—3 საათებს შუა. სწავლა-დამთავრებულთ მიეცემა მოწმობა. ფასი მთელი სწავლისა—40 მან. (ერთდროულად ანუ ნახევარწლობით), თვიურად-კი—5 მან. მსურველთ ეძლევა წინადადება ჩაეწერნენ ეხლავე, ქალაქს გარეშე მცხოვრებთ—წერილით. მისამართი: Тумановскій переулокъ, № 38, собств. домъ. კურსების დამაარსებელი **ივანე პავლეს ძე როსტომაშვილი.**
(2—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო
30 მუდმივი საწოლით და საშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 სა[illegible]
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და [illegible] 1—2 ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
პაპოვი გ. ა. ქურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
ხოხოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოვ. დღე. 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—184)

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
ა. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ზ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—ნ.—347)

ჭიათურის საურთიერთო ნდობის
საზოგადოების საბჭო
იწვევს საზოგადო ჩვეულებრივ წლიურ კრებას 6 ივნისს დილის 12 საათზე, ადგილობრივ თეატრის დარბაზში.

განსახილველი საგნებია:
1. მოხსენება საბჭოსი;
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა;
3. 1909 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
4. 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება;
5. არჩევნები გამგეობის ერთი წევრისა, საბჭოს სამის წევრისა და სარევიზიო კომისიისა.

(3—ნ.—3)

ქართველი თავად-აზნაურობის ახალი საზაფხულო თეატრი. დირექცია **ი. რ. პელცერისა.** კვირას, 23 მაისს, დრამატიული არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება **ვ. ფერსტერის** 5 მოქმედ. კომედია
ძველს ჰაიდელბერგში
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი პოპოვა, ჩაცკი, ბ-ნნი ბოჩაროვი, ვოლოდინი, ვერსტოვსკი, გდანევი, გოლოვინი, გორსკი, კარენინი, კლიმოვი, ლენსკი, პელტცერი, რეიხშტადტი. დასაწყისი საღამოს 8½ ს.

ანონსი: სამშაბათს 25 მაისს წარმოდგენილი იქნება **ლ. ანდრეევის** „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. მზადდება წარმოსადგენად, პირველად ტფილისში, **ბომარშეს** 5 მოქ. კომედია: **„შეშლილი დღე ანუ ფიგაროს ქორწინება“**. ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში, დილის 11—2 საათ. და საღ. 5—12 საათ.
(1—ხალ.—1) დირექტორი: **ი. რ. პელცერი.** გამგე: **ი. ა. ვლადიმიროვი.**

კვირას, 23 მაისს, მუშტაიდის ბაღში
საზოგადოება ● „განათლება“ ● მართავს
დიდ სეირნობას
გასართობები ბავშვებისთვის, ბაზარი, ვისია ყანწი? ბედის ჩარხი, სიუხვის ქვევრი, ყვავილები, კონფეტები და სხვა.
სინომატოგრაფი უფასოდ. დაუკრავს სამხედრო მუსიკა და დუდუკი.
შესასვლელი ფასი 25 კაპ. ყმაწვილებთათვის 15 კ.
დასაწყისი 3 საათზე. (2—უ—1)

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მაზლობლად, ტელეფონი N 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.
იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.
ბოჟოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.
ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.
ნოვიცკი—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.
ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.
კალამქაროვი—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.
ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.
ახპიროვი—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.
ფოხოდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.
ლიმონი—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—11½ ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—46)

ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი
იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (ხუხუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—ვგ.—49)

ექიმი დ. ახვლედიანი
იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოროვის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—442)

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულიოთ წამლობა ჰლექიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (75—ვგ.—77)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ექიმი შ. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაზენნოვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—98)

ექიმი მ. ფაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—130)

ადამიანის სხეულის მტრები

დღეს, 23 მაისს, სახალხო სახლში, ექ. ვ. ლამბაშიძე წაიკითხავს ლექციას ქართულ ენაზე „ადამიანის სხეულის მტრები“ უჩვენებენ სურათებს.
დასაწყისი 12½ საათზე.

თელავის ქალთა პროგიმნაზიის მომწყობი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ამ 1910 წლის მაისის 28 და 29 დანიშნულია მთავრობის განკარგულებით, ბავშვების მისაღები გამოცდა. (3—1)

კაბინეტი **ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—71)

ნაძალადევის
სახლის პატრონთა
საყურადღებოდ
ვისაც ჰსურს სახლი ან ავეჯი დააზღვიოს, ვსთხოვ მიმართოს ცნობებისთვის
გრიგოლ ვასილის ძე
ჩარკვიანს
ხუდადოვის და მაგისტრალნი ქუჩების კუთხეში, საკუთარ სახლში.
„ვოლგა“-ს აგენტი გიგო თოიძე.

სახელმწიფო სათათბირო

ს.-პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო

21 მაისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **გუჩკოვი.** გრაფი **ბენნიგსენი** კითხულობს მოხსენებას „ფინლიანდიის კომისიის“ გადაწყვეტილებათა შესახებ. ის აღნიშნავს, რომ პროექტი შეტანილია უმაღლესი სურვილის მიხედვით, რომელიც 14 მარტის მანიფესტში გამოიხატა და გამოსთქვამს იმედს, რომ ეს ზომა კი არ გაამწვავებს, არამედ პირიქით შეასუსტებს ფინლიანდელთა რუსეთისადმი მტრობას, რომელსაც ფინლიანდიის საკითხის დაყენება ასაზრდოებს. მომხსენებელი ათავებს მოწოდებით ფინლიანდელ ხალხისადმი, შეიგნოს ის, რომ ეროვნული გრძნობანი და ინტერესები აქვთ არა მარტო მათ, არამედ რუსებსაც, წავიდეს დათმობის გზაზე ამ ბრძოლაში და ის დაინახავს, რომ საერთო შრომა საკანონმდებლო დაწესებულებებში გამოამჟღავნებს თუ რა სიფრთხილით დაიცავენ ფინლიანდელთა ინტერესებს და ეროვნულ კულტურას (ტაშის ცემა ცენტრში). კანონ-პროექტი საჩქაროდ იქმნა აღიარებული. კანონ-პროექტის სისწრაფის წინააღმდეგ გამოდის **მილიუკოვი**, რომელიც ამბობს, რომ მხოლოდ სახელმწიფო უფლებრივი შეგნების და მორალური ავტორიტეტის უქონლობამ შეეძლო ეკარნახა სათათბიროს უმრავლესობისთვის აგეთი დიდი, დამფუძნებელი აქტის სისწრაფე. თავი დაილუპეთ, თუ გნებავთ: ჩვენ აქ მონაწილენი არა ვართ (ტაშის ცემა ოპპოზიციის ბანაკში).

ფონ ანრეპი პროტესტს აცხადებს მილიუკოვის წინააღმდეგ; რუსეთის იმპერიის საზღვრებში არასოდეს არ ყოფილა, არც არის და არც იქნება ფინლიანდია, როგორც **სახელმწიფოებრივი** ერთეული (ტაშის ცემა ცენტრში და მარჯვნივ) სისწრაფე მიღებულ იქმნა 186 ხმით 120 წინაღმდეგ.

გეგეჭკორი სთვლის, რომ სათათბიროს უმრავლესობა გამუდმებით ებრძვის არარუს ელემენტებს. პოლონეთის, ფინლანდიის და საქართველოს მაგალითებზე ორატორი ამტკიცებს, რომ სათათბიროს უმრავლესობა ძალმომრეობის გზას ადგია განაპირა კუთხეების წინააღმდეგ: განა შეიძლება უფლების ნიადაგზე იურიდიულად გავამართლოთ ასეთი სახელმწიფო აქტი. (ტაშის ცემა მარცხნივ)—გეგეჭკორი მოკლე ისტორიულის განხილვას აკეთებს, მოჰყავს ალექსანდრე I მანიფესტები და წერილები და დაასკვნის, რომ ალექსანდრე I-ს ფინლანდიის შემოერთება კი არ სურდა, არამედ სატახტო ქალაქის უზრუნველყოფა; ფინლანდია ავტონომიურ სახელმწიფოა, მოკლებული მხოლოდ საერთაშორისო ინდივიდუალობას; ამიტომ მისი ძირითადი კანონების შეცვლა არ შეიძლება სეიმის თანხმობის გარეშე. შემდეგ გეგეჭკორი ახსენებს მემარჯვენეებს, რომელთაც თავისი მოქმედების მოტივად პატრიოტიზმი მოჰყავთ, რომ მათმა ცრუ პატრიოტიზმა რუსეთი იაპონიის ომამდე მიიყვანა; პირიქით რუსეთის ხალხი გამსჭვალულია ჯანსაღი პატრიოტიზმით, რომელიც შორსაა საერთაშორისო განხეთქილებასთან და რომელსაც ყოველთვის ჰქადაგებდა სოციალ-დემოკრატიაც. ბოლოს ორატორი თავისი პარტიის სახელით პროტესტს აცხადებს ასეთი ძალმომრეობის წინააღმდეგ.

ზამისლოვსკის. აზრით ეს კანონი პოლიტიკურად აუცილებელია, იმიტომ რომ ფინლანდიის მიერ დაჭერილი პოზიცია დიდს საფრთხეს წარმოადგენს მთელი სახელმწიფოსათვის და ის უნდა განადგურებულ იქმნას საკანონმდებლო გზით ან იარაღის საშუალებით. ფინლანდიაში არასოდეს არავითარი კონსტიტუცია არ ყოფილა და იმედია მომავალშიაც არ იქმნება; იქ ისეთივე განუსაზღვრელი თვითმპყრობელობაა გამეფებული, როგორც რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილებში (ტაშის ცემა მარჯვნივ). კავშირი ოპოზიციას და ფინლიანდელებს შორის ადვილი ასახსნელია: ოპოზიცია ფინლიანდიაში პოულობს ადგილს თავისი კრებების გასამართავად და რევოლუციონური მოწოდების დასაბეჭდავად. ამას გარდა ფინლინდელებს შეძლება აქვთ ფულითაც გაუწიონ დახმარება რევოლიუციონერებს, იმიტომ რომ ისინი მონაწილეობას არ ღებულობენ რუსი გლეხობის გადასახადებში და მდიდრდებიან.

თავმჯდომარის ადგილს **ვოლკონსკი** იკავებს.

ფონ-ანრეპი ამბობს, რომ უსამართლობა იქნება სამ მილიონიანი ხალხი მონაწილეობას არ იღებდეს სამხედრო სამსახურში, რომ იქ, ფინლიანდიის ტერიტორიაზე შეურაცყოფას აყენებდნენ რუსის მოქალაქის ზნეობრივს გრძნობას და სხ. კოსმოპოლიტიზმი ასუსტებს და ლახავს რუსის ხალხს, საჭიროა ენერგიული მოქმედება და რყევის პოლიტიკის უარყოფა (ტაშის ცემა ცენტრში).

მილიუკოვი საკითხის წინ და წინ გადაჭრილად სთვლის, მაგრამ საქმის გამოსაშკარავებლად მაინც საჭიროდ სთვლის კამათში ოპოზიციის მონაწილეობას. პროექტი წარმოადგენს არა მარტო პოლიტიკურს შეცდომას და პრაქტიკულს შეუსაბამობას, არამედ ლოგიკურ უაზრობასაც.

მინისტრთა საბჭოს **თავმჯდომარე** ამბობს, რომ ბევრისთვის გაუგებარია, რატომ აღძრა მთავრობამ ფინლანდიის საკითხი: ფინლანდია ყვავის, არავის არაფერს უშლის და. მასთან ურთიერთობის გამწვავება უსინიდისო ავანტიურას ჰგავს. ნამდვილათ საქმე ასე არ არის. 1905 წლ. კრიზისმა ეს საკითხი ღიად დასტოვა და მხოლოდ მთავრობის უმოქმედობით აიხსნება მისი აქამომდე გადადება. გადაუწყვეტელი რჩებოდა დიდი საკითხი ფინლანდელთა სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ, მაგრამ ეს საკითხი ისე გადახლართული მთელი ამ

ქვეყნის მდგომარეობასთან, რომ მისი ცალკე განხილვა ყოვლად შეუძლებელია. ფინლანდიელთა უპირატესობა ამ მხრივ იწვევს შიდა გუბერნიების ზედ მეტს ხარჯს და სამსახურს. არ შეიძლება ითქვას, რომ მთავრობა ამ შემთხვევაში, წინდაუხედავად მოქმედებდეს. მას არ სურდა იმ ხარჯების შემცირება, რომელნიც კულტურულ საჭიროებათათვის არის დანიშნული და ამიტომ ხელმწიფემ წინადადება მისცაა სეიმს საკუთარი თანხა გამოეღო სამხედრო მიზნებისათვის.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 მაისი.

სპარსეთი

თავრიზი. ურმიისკენ და აზიის ოსმალეთის ქალაქებისკენ გაემგზავრა მოსკოვის ფირმის ცინდელის წარმომადგენელი. იგი ადგილობრივ სავაჭრო ალაგებს შეისწავლის, რათა მერმე რუსეთის მანუფაქტურის ექსპორტს აქ ბაზარი მოუპოვოს.

ოსმალეთი

სალონიკი. სამხედრო მინისტრი მაჰმუდ-შევქეთ-ფაშა უმთავრესი ჯარით-დიაკოვისკენ გაემართა. მეამბოხეებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ფერიზოვიჩში ალბანეთის დეპუტატის ნეჯიბადრაგის ძმისწული ბექირ-ბეი სამხედრო სამართალში მისცეს. მას დოკუმენტები უპოვნეს, საიდანაც სჩანს, რომ ალბანელ ნაციონალისტებს მეამბოხეებთან კავშირი აქვთ.

სტამბოლი. გერმანიის ელჩმა ამერიკელის ჩესტერის მცირე აზიის რკინის გზის პროექტის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა, რის გამოც პალატაში შესაფერ კანონ-პროექტის შეტანა შეგვიანდა.

საზღვარ-გარედ

ლონდონი. ღამე ჰემბერის ახლოს ფინლიანდიის ორთქლმავალი „ვილსონი“ რუსეთის პატარა გემს „ლენნოტს“ დაეჯახა. „ლენნოტი“ ჩაიძირა. ზედ მყოფნი გადაარჩინეს.

პარიზი. პრესსა ყურადღებას არ აქცევს დეპუტატების ჯგუფის მემორიალს ფინლიანდიის საკითხის გამო. გაზეთების უმრავლესობამ მემორიალის ტექსტიც კი არ დაბეჭდა.

ბრიუსელი. დიდის ამბით გახსნეს საფრანგეთის გამოფენის განყოფილება, რომელიც ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. გახსნას დაესწრნენ მინისტრები და მრავალი პარიზიდან ჩამოსული ხალხი.

სოფია. უცბათ გარდაიცვალა პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი მოლოსტოვი.

ბერლინი. გარდაიცვალა მწერალი იულიუს ვოლფი.

პარიზი. „ჟურნალ დე დება“ შეუფერებულად სთვლის პარლამენტის წევრებს ჩაერივნენ სხვა სახელმწიფოების საკანონმდებლო დაწესებულებათა საქმეებში და იმედოვნებს, რომ პროტესტს არ გაუგზავნიან სათათბიროს, რადგან ამას ცუდი შედეგი მოჰყვებაო.

რუსეთი

მოგილევი. ქალაქის გამგეობამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ მოგილევში სამასწავლებლო ინსტიტუტი გაიხსნას.

მინსკი. მოზირში ეკლესიაში შემალულ მელებზე ნადირობისთვის საოლქო სასამართლომ კნობელსდორფს რვა წლით კატორგა გადაუწყვიტა; ჟოლკოვსკის და ურბანჩიკს ექვსი წლით, კუკს და შამბორსკის ოთხი წლით ბორბენკოს გამასწორებელი სახლი ორი წლით და ანტონ ურბანჩიკს ერთი წლით საპატიმრო.

კიევი. გუბერნიის სხვა და სხვა ალაგებიდან იტყობინებიან, რომ იქ გვალვის გამო მრავალი მწერი გაჩნდა, რომელიც დიდ ზიანს აყენებს ნათესსო.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელის ბუტურლინის მოწამვლის საქმე სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელს გადაეცა. მასვე გადაეცა დაპატიმრებულნი ობრიენ დელასი და ექიმი პანჩენკო, რომელთაც მისი მოწამვლა ბრალდებათ.

ეკატერინებურგი. ილუტოროვის მაზრის სოფელ მოკროუსოვში გადაიწვა 44 სახლი. ზარალი 185,000 მანეთია.

პეტერბურგი. ვაჭრობის მინისტრმა დაათვალიერა პუტილოვის ქარხანა და ვრცლად გაეცნო სხვა და სხვა განყოფილების საქმის წარმოებას.

პეტერბურგი. მოვიდა იაპონიის ტახტის მემკვიდრე ფუშიმი თავის ამალით.

პავლოვო (ნიჟეგორ. გუბ.) პავლოვის რკინის გზის კომისიის თავმჯდომარე პავლოვის საზოგადოების რწმუნებულთან ერთად პეტერბურგს წავიდა. ესენი იშუამდგომლობენ მთავრობის წინაშე, რომ შუია-არზამასის ლიანდაგის პროექტი მალე განიხილონ.

ხოლერა

დონის როსტოვი. სულ ხოლერით ავათ გახდა 12, გარდაიცვალა სამი.

პოლტავა. ზოლოტონოშის მაზრაში ხოლერით ავათ გახდა 5, გარდაიცვალა ერთ

პოლტავა. ცხრა მაისს აქეთ ხოლერით ავათ გახდა 21, გარდაიცვალა 8.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **მშობლების კრება.** 16 მაისს ტფ. ვაჟთა მესამე გიმნაზიის მოსწავლეთა მშობლების კრება მოხდა. განიხილეს საგანი ამ გიმნაზიისათვის საკუთარ ადგილის შეძენისა და შენობის აგების შესახებ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა ფული მოჰკრიბონ ერთმანეთში ორის წლის განმავლობაში. თითომ წელიწადში 50 მან. უნდა გადაიხადოს.

✦ **გამოფენა.** 21 მაისიდან ა. ალიხანოვის საქალებო პროფესიონალურ სასწავლებელში, ნემეცების ქ. № 3 გაიხსნა მოსწავლეების ხელ-საქმის გამოფენა. გამოცდილი ხელმძღვანელების წყალობით, გამოფენა დიდ ყურადღებას იპყრობს. გამოფენა გაგრძელდება 26 მაისამდის.

✦ **გ. რცხილაძის განთავისუფლება.** გუშინ განთავისუფლებულ იქმნა გაზეთ „მეგობრის“ რედაქტორი გრ. რცხილაძე, რომელიც ერთი წელიწადი, იჯდა მეტეხში გაზეთ „მეგობარის“ საქმის გამო.

✦ **თავის დახრჩობა.** 18 მაისს მტკვარში თავი დაიხრჩო 15 წლის ბავშმა გიგა ყაზაშვილმა. მიზეზი ჯერ გამოურკვეველია.

✦ **ადგილის მყიდველთა კრება.** კვირას, 23 მაისს, საბურთალოზე დანიშნულია კრება მაკაროვის ადგილების მყიდველთა პირველი და მეორე პარტიისა.

✦ **ექიმების კრება.** 1 ივნისს მოხდება კრება ექიმების საზოგადოებისა,

✦ **სანიტარული დათვალიერება.** ამ დღეებში საგანგებო სანიტარულმა კომისიამ ქალაქის პირველ საპოლიციო უბანში სახლის ეზოები დაათვალიერა და რამდენიმე ეზო ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სასანიტარო წესების დარღვევისათვის კომისიამ 39 სახლის პატრონს შეუდგინა ოქმი.

✦ **საფილოქსერო კომიტეტი.** ამ ზაფხულს ტფ. საფილოქსერო კომიტეტი აგრონომს ჰგზავნის კახეთში, ალაზნის მარცხენა მხარეს ვაზის გასაშინჯად.

✦ **ნ. ფ. ვებერის მოკვლის საქმე.** ნამესტნიკის საბჭომ ნ. ფ. ვებერის მოკვლის საქმე გამოსაძიებლად საგანგებო საქმეთა გამომძიებელს გადასცა.

✦ **უძრავ ქონებათა შეფასება.** 21 მაისიდგან უკვე შეუდგნენ მუშაობას ახლად არჩეული ქალაქის უძრავ ქონებათა დამფასებელნი.

✦ **სახალხო კონცერტი** 30 მაისს სახალხო სახლში ბ-ნი ფიცხველაშვილი დაკლებულის ფასებით გამართავს კონცერტს. კონცერტის დაწყებამდე ბ-ნი კარგარეთელი წაიკითხავს ლექციას ამ სათაურით: „მუსიკა და მისი მნიშვნელობა“. ლექციის შემდეგ ქართულ რომანსებს იმღერებენ ბ.ბ. კარგარეთელი და ცხომელიძე.

✦ **სახელმწიფო ბანკი** სახელმწიფო ბანკის ახალი შენობა უკვე დამთავრდა. 21 მაისს ძველი შენობიდან ახალში გადატანილ იქმნა ფული და ყველა საჭირო საბუთები. იმ ქუჩებზე, სადაც ფული მიჰქონდათ, გაძლიერებული ჯარი იდგა.

✦ **გადასახლებულის შეპყრობა.** 21 მაისს კახეთის ქუჩაზე მაძებარ პოლიციის აგენტებმა შეიპყრო ტფილ. მცხოვრები გიორგი ელიზბარის ძე ბეგიაშვილი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

✦ **უკვალოდ დაკარგული.** ამ დღეებში უკვალოდ დაიკარგა ვაჟთა პირველ გიმნაზიის მოსწავლე კონსტანტინე დავიდოვი.

✦ **უპასპორტონი.** 21 მაისს პოლიციამ მასიურ ჩხრეკის დროს ქალაქის სხვა და სხვა საპოლიციო უბანში 40-დე უპასპორტო შეიპყრო.

✦ სურამიდან გვატყობინებენ, რომ იქაური პროგიმნაზიის საბჭომ ხსენებულ პროგიმნაზიის საპატიო წევრად აირჩია ნინო ბეჟანის ასული ყიფიანისა.

პატარა ფელეტონი

სევდიანი მოგონება

ერთს წუთში დღეების ჩხრიალი შევაჩერე და თავი ფიქრებს მივეცი. გამახსენდა ძველი ამბავი, როცა ახალგაზრდა ვიყავ და სოფლად ვმასწავლებლობდი. ამ მოგონებამ მწარტკბილად ჩამაფიქრა. გავიხსენე თუ როგორ მიყვარდა ხოლმე ჩემი ყმაწვილები, რომელთაც მე ვასწავლიდი და რომელთა ბედ-იღბალი რამოდენიმეთ ჩემზეც იყო დამოკიდებული...

დიახ, მასწავლებლად ვიყავ, სულით და გულით; ვცდილობდი ახალგაზრდებში ადამიანური გრძნობები გამეღვიძებინა და ამით პაწია სამსახური მაინც გამეწია ოდესღაც ბედგალიმებულ, დღეს კი ბედკრულ სამშობლოსთვის...

მიყვარდა, გაგიჟებით მიყვარდა მომავალი ახალთაობა, რომელსაც შემდეგში უნდა ეკისრა პასუხსაგები როლი მამულის ბედ-იღბალის გადაწყვეტაში...

ჯერ კიდევ ნორჩნი იყვნენ ჩემი ყმაწვილები, მაგრამ ცნობილია ახლად აღმოცენებულს ხეს უფრო სჭირია მორწყვა და მოვლა, ვიდრე ასი წლის მუხას.

მუდამ ჟამს მზად ვიყავ ჩემი ტანჯვა ვარამი ამხანაგებისთვის გამეზიარებინა, აღფრთოვანებით ვისმენდი და ვკითხულობდი მათ აზრებსაც. ვცდილობდი ამხანაგის მიერ გამოთქმული აზრი გამომეყენებინა. სხვებს ვასწავლიდი და იმავე დროს მეც ვსწავლობდი... ჩემი სურვილი იყო უნაყოფო მუშად არ ვყოფილვიყავ... არ ვბრწყინავდი გარეგნულად, დაფლეთილი იყო ჩემი ტანთსაცმელი, ნახევრად მშიერადაც ვრჩებოდი...

სამაგიეროთ წმინდა იყო ჩემი ხელობა, წრფელ აზრებს მონახავდით ჩემს ნაღველით და ბოღმით სავსე გულში, თუ კი, რასაკვირველია, იკადრებთ შიგ ჩახედვას.

ვასწავლიდი მათ სამშობლო ენას, დედის სიყვარულს და დედი-ნაცვილს ოინებს.—რაც უფრო მეტად დაფლეთილი მქონდა გული იმ გარემოებით, რომ საქართველოში „ქრიდნენ ქარნი შესაზარნი“, ჩვენ კი „მონანი ვიყვით, პოლიტიკური არარანი“, რაც უფრო სადათ ვიყავ გარეგნულად, ნახევრად მშიერი, მწყურვალი, მით უფრო, ვგრძნობ, რომ ადამიანი ვიყავი... და ამიტომ მიტაცებს მე ჩემი წარსული, მით უფრო მიყვარს მე ჩემი ეს მოგონებანი!..

„ვისაც არ უყვარს, არ ლოცულობს, არ იტანჯება ის ადამიანი არ არისო“, ბრძენის ნათქვამია. მიყვარდა მე ჩემი ხელობა, ვლოცულობდი ყმაწვილებისთვის, ვიტანჯებოდი ირგვლივ, მაშ მეც ადამიანი ვიყავი...

მერე რა მოხდა?. ოჰ, გადაწყვიტეს სათათბიროში, სენატში, რომ „ყველა მასწავლებელი, ვისაც კი სალდათობა მოუწევს, გაზომილ და წაყვანილ იქმნეს სამხედრო სამსახურშიო“... მე რომ ეს გავიგე

თაიგული

⁂

უცხო ბაღით გადარგული,
საოცნებოდ მოქარგული,
შენ მომიძღვენ თაიგული
ოდეს მქონდა მე შინ ია.

⁂

რად, რად მაწვდი შვების ალებს?...
ვაჰმე! ია თრთის, კანკალებს,
უნუგეშოდ ხუჭავს თვალებს...
მეშინია... მეშინია!.

ი. გრიშაშვილი.

სიო

დილისა სიო
ტყეს აშრიალებს,
და ქოჩორს ვარცხნის
მთისა მწვერვალებს...

—

ბაღსა გაფურჩქვნულს
თავსა ევლება;
და გაშლილ ყვავილთ
ყამბორება.

—

მოხდენით თავს ხრის
ტბისა ლერწამი,
კრთოლვით ეფრქვევა
ცით გრილი ნამი...

—

ყურს ჩამჩურჩულებს
მამცნებს
ნარნარ ხმებს,
ოცნების ფრთებით
შორს, შორს მიმაფრენს!

—

გულში გადაშლილს
იმედის ყვავილს:
ჰფურცლავს... ემბლემად
ნაზ ცვრებს აპკურებს.

—

გულში ჟღერს სიმი
ნეტარებისა;
და მელოდია
ნაზი ხმებისა:

—

სიოს ბანს აძლევს
და უერთდება
შორს-ცის სივრცეში
იბნევა ჰქრება!..

ს. ფაზალიშვილი

ბავშობა ჩემი...

რა ტკბილი იყო ბავშვობა ჩემი!
ვითარის ლხენით ვიყავ მოცული!
ტკბილად, სიამით დიოდნენ დღენი,
უდარდოდ სძგერდა მკერდის ქვეშ გული.

⁂

მაგრამ გათავდა! ცრემლს ვაფრქვევ
ცხარეს,
რასაც წარსულში არა ვდარდობდი
და მწარედ ვნანობ: როს ბავშვი ვიყავ
უფრო ძალიან რათ არ ვხარობდი!

ა. მჭედლიშვილი.

შუა-ღამე

თავის თავ-გადასავალს მიამბობდა. ძალიან მხიარული ყმაწვილი იყო, ცოცხალი, ჯან-ღონით სავსე, თვალები ოდნავ უთამაშებდა, გიჟ-მაჟი ღიმილი უკრთოდა პატარა, ლამაზ ტუჩებზე. ლამაზი ყმაწვილიც იყო. პატარაობისას მორცხვი იყო, მაგრამ ქალებმა არშიყად გახადეს. მიუხედავად ამისა ნაზი და ფაქიზი გრძნობები ჰქონდა. თავის სიმრუშის ამბებსაც კი ისე მოგითხრობდათ, „რომ თქვენს ზნეობრივს გრძნობებს სრულიად არ შეჰბღალავდა. არიან ხოლმე ასეთი ყმაწვილები; ჩემი მეგობარიც ერთი იმათგანი იყო.

— სწორედ შუა-ღამე იყო, ამხანაგებთან ვიყავი, დროს ვატარებდით,—დაიწყო ჩემმა მეგობარმა.— სიცილსა და ოხუნჯობას ბოლო აღარ უჩანდა. ძალიან პატარა ოთახი იყო, ამასთანავე თითქმის ყველანი თუთუნსა სწევდნენ. სული შემიხუთდა; წმინდა ჰაერის ჩაყლაპვა მომინდა; მასპინძელს გამოვესალმე და წამოვედი. ერთი საათი მაინც ვიხეტიალე ქუჩებში. მე საზოგადოდ ძალიან მიყვარს ღამ ღამობით ხეტიალი.

შენ იქნება არც კი იცი, რომ დიდს ქალაქებში ცხოვრება ღამ-ღამობით იწყება. სიყვარულის პაწია ღმერთი ეროსი ღამე გაიღვიძებს ხოლმე და ქუჩა-ქუჩა დაეხეტება. სად გინდა, რომ იმან არ შეიხედოს: სრა-სახლებში, რესტორანებში, არისტოკრატ ქალის ბუდუარში, სამიკიტნოში, თუ ყავახანაში!

ღამე ეროსი საყვარელი სტუმარია ყველასათვის. მოდუნებული ძარღვები იჭიმება, მომაკვდინებელი სისხლი ჩქეფვას იწყებს,—მზის შუქით განათებული გონება კი ჩლუნგდება, ბურუსით იფარება, გამოურკვეველ, ბუნდოვან სურათებით ივსება. დღე ფიქრობ, ღამე კი—გრძნობ. დღე იცი, რაზედაცა ფიქრობ, ღამე კი შენ თვითონაც არ იცი, რასა გრძნობ, რა გინდა. არ ვიცი, იქნება ცუდი ფილოსოფია გამომივიდა, მაგრამ მართალს კი გეუბნები, ენდე ჩემს გამოცდილებას...

ბევრს ვიხეტიალე ქუჩებში. ბოლოს ხეტიალიც მომწყინდა; ქუდი თვალებზე ჩამოვიფხატე და სტვენით სახლისკენ გავწიე. ქუჩებში ხმაურობა აღარ იყო, აქა-იქ თუ შეხვდებოდით ჩემსავით უსაქმო ადამიანს. უცბათ, თვალი მოვკარი, რომ ჩემს მახლობლად სახლიდან ქალი გამოვიდა, კარები გამოირახუნა, მიიხედ-მოიხედა და იქითკენ წავიდა, სადაც მე ვცხოვრობ. მაინც საქმე არა მაქვს და, მოდი, ამ ქალს გამოვუდგები-მეთქი, ვიფიქრე.

ქალი ჯერ ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, მერე კი სიარულს მოუკლო.

როგორღაც მეზარებოდა გაცნობა, გული კი არ მისვენებდა. ხომ იცი, ჩემო ძმაო, რა სუსტი ხასიათის კაციცა ვარ? ვიდექი და ვფიქრობდი. სანამ მე ყოყმანში ვიყავი, იგივე კარები მეორედ გაიღო. მივიხედე და ერთი მდიდრულად ჩაცმული კაცი დავინახე. მშვენიერი შავი პალტო ეცვა, თავზედაც ცილინდრი ეხურა. იქნებოდა 45—50 წლისა. ეტყობოდა ძალიან აღელვებული იყო: მუშტებს კუმშავდა და აქეთ იქით ბოროტად იყურებოდა.

კედელთან ავიტუზე და ყურება დავუწყე. ქალმა უკვე მეორე ქუჩისკენ გაუხვია, ცილინდრში გამოწყობილი ჯენტლმენი კი ცოტა ხანს იდგა კარებთან, მერე ხელი ჩაიქნია, მუშტები უფრო ძალიან მოკუმშა და წავიდა.

აქ რაღაც ამბავი უნდა იყოს-მეთქი, ვიფიქრე და ქალს გავედევნე.

დავეწიე.

დარბაისელი დედაკაცი იყო.

დიდხანს ვსდიე.

შევამჩნიე, რომ ისიც ჩემსავით უგზო-უკვლოდ დადიოდა. ერთხელ ერთსა და იმავე ქუჩაზე ორჯელ ჩაიარა.

ოჰოჰოო! შუა ღამისას სასეირნოთ ვინ გამოდის?—ჩავილაპარაკე ჩემთვის.

ქალმა ხმა არ გამცა, არც მოუხედნია ჩემსკენ, მხოლოდ სიარულს მოუკლო; ისე თავისუფლად ველარ დადიოდა, ფეხები ეხლართებოდა. იცოდა, რომ უკან მივსდევდი, და სწორეთ ესეცა ხდიდა უხერხულად მის სიარულს. არ გამოგიცდია? როდესაც იცი, რომ უკანიდან დაგიცქერიან, უსათუოდ ფეხები დაგეხლართება, ბუნებრივად ველარ გაივლი.

იმ ქალსაც ისე მოუვიდა.

სიხარულით ცას ვეწეოდი.—რა მიხაროდა, მეც არ ვიცოდი. სიხარული გამარჯვებისაო, ხომ იცი ჩემო ძმაო? იქნება ნიცშეს ზე-კაცსაც არ ეგრძნო ესოდენი სიხარული გამარჯვების შემდეგ? გამარჯვება არ არის, მაშ რა, დასწყევლოს ეშმაკმა? შევხედე, ისიც ზურგში, და ქალმა მაშინვე იგრძნო სიძლიერე ჩემი მხედველობისა: ფეხები დაეხლართა.

ხუმრობა იქით იყოს, მაგრამ მე მაინც გახარებული ვიყავი; ასე მეგონა მთელი ქვეყნის ქალების გული დავიმორჩილე მეთქი.

მარტო სიარული, შუა ღამისას, ძალიან საეჭვოა! — ჩავილაპარაკე ხელ ახლა.

ქალმა მაინც ხმა არ გამცა, სიარულს კი უფრო მოუკლო.

ამან ხომ სრულიად გამაკვირვა, ალბად „ისეთი“ ქალია-მეთქი, ვიფიქრე.

გვერდზე გაუარე, შევხედე და დავრწმუნდი, რომ „ისეთი“ არ იყო. გამოცდილი თვალი ერთის შეხედვით გაარჩევს „ისეთს“ ქალს „პატიოსანი“ ქალისაგან.

ლამაზი სახე ჰქონდა, გაფითრებული, ქვედა ტუჩი უთამაშებდა, თვალებზე ცრემლები უბრწყინავდა.

ამან ხომ სულ მთლად გამაოცა.

შენც ხომ იცი, ჩემო ძმაო, ქალებთან ცერემონიები არ მიყვარს, მაშინ კი შემრცხვა. საზოგადოდ ქალის ტირილი, მეტადრე ლამაზისა, ჩემზე ძალიან მოქმედობს: ცრემლი გულ-ჩვილობის გამომხატველია; ქალს კი ისე არაფერი ამშვენებს, როგორც გულჩვილობა. ენერგიული, „მებრძოლი“ ქალები, სწორე მოგახსენო, ძალიან მეჯავრებიან. ამ შემთხვევაში კონსერვატორი ვარ. რას იცინი? „არც სხვა რამეში ხარ მაინცა და მაინც დიდი პროგრესისტი“, ეს გაიფიქრე, განა? როგორც გინდა იფიქრე, მაგრამ ვაჟ-კაცური დედა-კაცი მეჯავრება.

ქალის ცრემლებმა ძალიან შემაწუხა ვინ იცის, რანაირი დარდი აწუხებს, მე კი ყოვლად საზიზღარის განზრახვით მივსდევ მეთქი ვიფიქრე.

შემეცოდა.

ჩემი თავიც შემეზიზღა. შემძაგდა ჩემი გარყვნილი ბუნება.

ასე მეგონა დავპატარავდი, მუშტის ოდენა გავხდი-მეთქი. რა მშვენიერი სანახავი იყო! შეწუხებული, დარდიანი ქალი სასეირნოთ გამოვიდა, უნდოდა მარტო სიარულით მწვავე ფიქრები თავიდან მოეშორებინა, მე კი მაშინვე ცუდი გრძნობებიც გავიმსჭვალე, გარყვნილმა ფანტაზიამ ათასი, ერთიერთმანეთზე უარესი სურათები დამიხატა.

არ მეგონა, თუ ასე ძალიან დავეცემოდი ზნეობრივად. ვგმობდი ჩემს საქციელს; მთელი ჯოჯოხეთის ყველა ტარტაროზები შევსძარი; ქვეყნის რისხვა დავაყარე ჩემს თავს.

მინდოდა მივარდნოდი, ბოდიში მომეხადა, დამეწყევლა მთელი ქვეყანა, ტალახში ამომესვარა ადამიანი.

ყოვლად პატიოსანმა გრძნობებმა გაიღვიძეს ჩემში... ექსტაზს საზღვარი არა ჰქონდა.

მივალ, ვანუგეშებ, თვალებზე ცრემლებს მოვსწმენდ; ვინ იცის, როგორა სწყურია ტკბილი სიტყვა, თანაგრძნობა პატიოსან ადამიანისა! ასე ვფიქრობდი,. მაგრამ მისვლას მაინც ვერა ვბედავდი.

ტვინმა ინტენსიურად დაიწყო მუშაობა: აზრი აზრსა სცვლიდა, გრძნობა გრძნობასა.

ბოლოს გამეცინა. დავცინოდი ჩემს თავსა, ჩემს გრძნობებს.

მაინცა და მაინც ისეთი რა მოხდა? ქალი დავინახე, მომეწონა და განვიზრახე იმით სარგებლობა. განა ერთხელა და ორჯელ ჩამიდენია ასეთი საქმე? რა უყოთ, რომ ტირის? მე ხომ შეურაცყოფას არ ვაყენებ? ჩემი თავ-ხედური საქციელი რომ არ მოსწონდეს, ადვილად მაგრძნობინებდა. წარბის ერთი შეხრა საკმარისი იყო, რომ ყოველი იმედი დამეკარგა და სახლისკენ გავმგზავრებულიყავი, იმან კი სიარულს

რემლ-მორეული გამოვეშვიდობე მს საყვარელ ხელობას და მეგობრების რჩევით წინდაწინვე შევედი მსახურში.

იქ ყოჩაღად მეჭირა თავი. თიდი ანი არ დამიყვია უბრალო ჯარისკაცად, მალე გადავსწყვიტე და სისრულეშიც მოვიყვანე იუნკრის სასწავლებელში შესვლა... შევცდი, ერთმანი, შევცდი!.. სასწავლებელში კარგი მოწაფის სახელი დაიმსახურე და... აფიცრობა მივიღე. მს სიხარულს საზღვარი სად ჰქონა!.. ეხლა აფიცერი ვარ! მშვენიერი ხელობაა. ქაღალდი, საღამობი, ბალები, დეზები, მუნდირი, ოველ დღე მხიარულობა, ქალებში აზლანდარობა, დროს ტარება, ეიფი...

ევეები სად იყო სოფლად მასწავლებლობის დროს!. მაგრამ... მარამ მაწუხებს და მანაღვლიანებს მ ჩემი წინანდელი ხელობის მოონება... ის უფრო წყნარი, ჩუმი ა წმინდა იყო... „კეთილშობილია და პატივსაცემი თანამდებობა სახალხო მასწავლებლისა, იგი ხალხის შვილია, ხალხის აღმზრდელი“.. ყვარდა მე ჩემი ბავშვები, მომალი ახალთაობა, მიყვარდა... რაენი ხანია კალმისთვის ხელი არ მიკიდნია და არც მათ შესახებ ამე მომისმენია!.. ნეტავ მანახვა ოფლის მასწავლებელი, მას ვკითვ რას შვრებიან ეხლა ყმაწვილე-, მისი გასაწრთვნელი ბალღები, ყვარს მე სოფლის მასწავლებელი, ყვარს საზარდი, ნორჩი ახალგარდობა... მინდა ვიფიქრო მათზე, ენია საყვარელი, პატივსაცემი, ყვარან მე ისინი, მიყვარან. სოფის მასწავლებელი... მომავალი ლთაობა...

— ვარლამ, ვარლამ სწუხარ, გაიღვიძე“! შემომესმა ამხანაგის ხმა, ვკრთი... გამომეღვიძა. მადლობა მერთს სიზმარი ყოფილა. ისევ ჩემი ყვარელი ხელობა მაქვს.

ვარლამ იმერელი.

ანფისა

ბ-ნნო მოსამართლენო და ნაფიცნო აჯულნო!

ვერ დავფარავ თქვენს წინაშე, რომ ადენადმე უხერხულად ვგრძნობ დღეს ჩემს თავს ბრალმდებლის როლში. იქნება თქვენც განიცდით ეხლა ამგვარსავე მდგომარეობას, რადგან იმისთანა ბრალდებულისაგან, როგორიც არის ანფისა, მოსალოდნელია შემდეგი კითხვა:

„ვინ მოგიწოდათ თქვენ ჩემდა მსაჯულებად? განა მამა-კაცი შესძლებს თავის მონის, დედა-კაცის მიუდგომლად გასამართლებას!“ დრომ მოიტანა ამგვარი კითხვა და იგი მოსალოდნელია თანამედროვე ქალისაგან, რომელიც მამა-კაცს მოსისხლე მტრად უყურებს...

უძველეს დროიდან აწარმოებს დედა-კაცი დიადს ბრძოლას მამა-კაცის წინააღმდეგ თავის პიროვნების და ადამიანურ უფლებათა დასაცავად, მაგრამ ამ ბრძოლის ტალღები ისე ძლიერად და ისე მაღლა არასოდეს არა სცემდნენ, როგორც ჩვენს დროში.

საბედნიეროდ, კიდეც ირყევა ძალზე ჩვენ თვალ-წინ ის საშინელი კედელი, რომელიც აღმართა გადუვალმა ბედისწერამ თუ ისტორიულმა უსამართლობამ ქალსა და კაცს შორის. ტანჯვა და კრულვა დედა-კაცისა მოსვენებას არ აძლევს კაცობრიობას და ვინ იცის, იქნება არც ისე შორს იყოს ის ბედნიერი დღე, როდესაც ტკბილი ოცნება დედა-კაცისა პიროვნების ბორკილებიდან განთავისუფლებაზე სინამდვილედ იქცევა.

ყველაფერი შესაძლებელია; შესაძლებელია ისიც, რომ ავგუსტ ბებელის აზრი გამართლდეს და სოციალიზმის განხორციელებასთან ერთად გადაწყდეს დედა-კაცის პრობლემაც.

ხოლო სანამ ეს მოხდებოდეს, სანამ ის ნეტარი დრო დადგებოდეს, ბ-ნნო მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო, ცხოვრება ქვეყნად მაინც იქნება, მაინც იქნება დანაშაულობა, მაინც იქნებიან ქვეყნად ანფისასთანა კაცის მომკვლელნი. დანაშაულობასთან ბრძოლა კი აუცილებელია, რადგან უამისოდ საზოგადოების არსებობა შეუძლებელია.

ბატონებო! ის ჭეშმარიტება, რომ დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია, ჩემი აღმოჩენილი როდია. ეს თვალსაზრისი შეიმუშავა კაცობრიობამ ტანჯვით თავის ხანგრძლივ ცხოვრების განმავლობაში.

ჩვენ არ შეგვიძლია მოქმედება გარეშე სივრცისა და დროისა; ჩვენი დღევანდელი სამსჯავრო, იქნება, ბევრს ქალს არ მოსწონდეს, მაგრამ ეს სამსჯავრო თავის შედგენილობით და კანონებით ნაყოფია კაცობრიობის დაუღალავ შრომისა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. თქვენს მსჯავრს, თქვენს გადაწყვეტილებას უნდა დაემორჩილოს ანფისა, მისთვის, რომ ის სცხოვრობს საზოგადოებაში და ამ საზოგადოების სინიდისის გადაწყვეტილება მისთვის სავალდებულოა. ცხოვრება და მოქმედება გარეშე არსებულ ზნეობრივ და იურიდიულ კანონთა თუ პრინციპთა შეუძლებელია.

მე სრულიად არა ვარ მომხრე, ბატონებო, იმ ულმობელ პრინციპისა, რომელიც რომაელებმა გამოხატეს სიტყვებში: ‚Fiat iustitia peret mundus“. მე სრულიადაც არ ვიცავ რაღაც განყენებულს, მიუწვდომელ სამართლიანობას. მე მინდა ვიყო ლმობიერი და ჩვეულებრივის საზომით გავზომო მოქმედება ქ-ნ ანფისასი, მაგრამ მაინც ვერ მიპოვია არამც თუ მისი გამამართლებელი რომ საბუთი, ვერ მიპოვია ვერაფერი მისი დანაშაულობის შემამსუბუქებელიც.

მე არა მგონია, ბ-ნნო მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო, რომ ანფისას დანაშაულობა ხსნიდეს, არკვევდეს ოდნავ მაინც ქალთა საკითხს, რომ ჰფენდეს მცირეოდენ სინათლეს სქესის იმ წყეულს პრობლემას, რომელიც დიდი ხანია ზღაპრულ ცხოველივით დამდგარა კაცობრიობის წინაშე და ემუქრება მას: „გამომიცან, თორემ ჩაგნთქამო“.

რად უნდა ავიყვანოთ ანფისა იმ პიედესტალზე, იმ სიმაღლეზე, რომელიც მას არ შეჰფერის და არც დაუმსახურებია? ანფისა ჩვეულებრივი ტიპია ახალგაზრდა, ჯან-საღ ლამაზ ქალისა — მეტი არაფერი. მის მოქმედებაში, მთელს მის ცხოვრებაში არ არის არც ერთი ხაზი, რომ მას არა-ჩვეულებრივ, მაღალ მისწრაფების ადამიანად ჰხატავდეს, რომ მის სულიერ აღმაფრენას, მის ზნეობრივს სიდიადეს ჰლაპარაკებდეს.

მთელი არსება ანფისასი დამონავებული აქვს მარტოოდენ სქესობრივს ვნებას, სქესობრივს გარყვნილებას.

აი, სწორედ ანფისასთანა ქალზეა გამოჭრილი ოტტო ვეინინგერის — მთელი ქალის არსება გამომხატველია მარტოოდენ სქესობრივის ცხოვრებისაო.

გარეშე სქესობრივ ლტოლვისა ანფისასათვის ქვეყანაზე რომ რამე არსებულიყო, რომ ის ჭეშმარიტ სიყვარულის მაძებარი ყოფილიყო, განა კაცებს ისე ადვილად გამოიცვლიდა? მოიგონეთ მისი გათხოვების და ქმართან გათვისების უცნაური ისტორია, რომელსაც მოგვითხრობს მისი და ნინოჩკა, მოიგონეთ ქალბატონ ანფისას სამარცხვინო რომანი ვიღაც სმოლენსკელ აფიცერთან და მაშინ დამეთანხმებით, რომ ანფისასებური ტიპის ქალი სრულიად არ გამოდგება ქალის ნამდვილ თავისუფალ სიყვარულის, ქალის ინდივიდუალობის დამცველად. თუ ამაში არ დამეთანხმებით და ანფისას, ამ თვალთ-მაქც, ცრუს, უბრალო გულის-თქმის, პირუტყვულ ვნებათა ამყოლს ქალს იცნობთ თავისუფალ სიყვარულის მოციქულად, მაშინ მე აღარ ვიცი, რით განსხვავდება თავისუფალი სიყვარული სქესობრივ გარყვნილებისაგან!

თვალთ-მაქცად და ცრუდ მოვიხსენიე მე ქალბატონი ანფისა და ამის საბუთიც მრავალი მაქვს. ის რომ სამაგალითო, ტარტიუფისებური თვალთ-მაქცი და გაიძვერა არ ყოფილიყო, განა შესძლებდა იმდენს ხანს ყველას თვალის ახვევას! ანფისას რომ კოსტომაროვის სახლში ყველა უცქეროდა, როგორც ფრიად სათნო, მტკიცე ხასიათის ადამიანს, მართალს, პატიოსანს, თითქმის როგორც წმინდანს! კიდეც ამისთვის იყო რომ დამ ის მოიწვია გარყვნილ ქმრისათვის ზნეობის მასწავლებლად, დამრიგებლად.

რაც მოიქმედა ზნეობის მასწავლებელმა ანფისამ, თქვენ კარგად იცით. მან უღალატა დას, სქესობრივის კავშირით შეუერთდა გარყვნილს სიძეს კოსტომაროვს და მოინდომე მისი ცოლობა, არია მთელი ოჯახი თავის დისა.. იჭვიანობით გაჟღენთილმა ანფისამ ბოლოს მაინც ვერ დაიმშვიდა გული კოსტომაროვის ერთგულებაზე, იფიქრა, — რადგან მას სიყვარული არ შეუძლია, მე არ შემრჩებაო, და საშინელს, მაგრამ ქალთაგან ადრე და ბევრჯელ ნაცადს საშუალებას — საწამლავს — მიმართა.

მერე რა მოტივით ან რა მაღალ იდეით გამართლდება ანფისასაგან ჩადენილი მკვლელობა? ამბობენ, ნამდვილი სიყვარული, უდიდეს საიდუმლოებით არის მოცული, ის ისე ძლიერია, რომ ხშირად სპობსო შეყვარებულთ. ოსკარ უაილდმა დაგვიხატა თავის დრამაში საშინელი სურათი ამგვარის სიყვარულისა. მშვენიერს სალომეს, ურიასტანის მმართველის ეროდის ქალს, რაღაც უცნაურის სიყვარულით შეუყვარდება წინასწარმეტყველი იოკანაანი და დაჟინებით ითხოვს ეროდისაგან მის თავის მოკვეთას; როდესაც შემოიტანენ მოკვეთილს თავს, სალომე მივარდება და გაგიჟებით უკოცნის ტუჩებს წინასწარმეტყველს. იქნება, ამ სალომეს საშინელს სიყვარულში გამოიხატებოდეს რაღაც მიუწდომელი საიდუმლოება, ტრაგიზმი სიყვარულისა; ხოლო ეს ამბავი ანფისას მოქმედებას სინათლეს არა ჰფენს; მის სიყვარულში არავითარი ტრაგიზმი არ მოიპოვება.

აკი მოგახსენეთ, ანფისას სიყვარული ნამდვილი სიყვარული არ არის, მხოლოდ სქესობრივი ვნებათა — ღელვაა მეთქი — ამბობენ; ნამდვილი სიყვარული ერთნაირი მადლია და ის მხოლოდ ერთხელ ეწვევა ზნეობით წმინდა ადამიანსაო. ანფისას კი კოსტომაროვთან დაახლოვებამდის უყვარდა სხვა კაცები, სხვებთან ჰქონდა დაახლოვება.

იქნება ანფისამ ნამდვილის სიყვარულით შეიყვარა მხოლოდ კოსტომაროვი, ან, იქნებ, შური მისთვის იძია, რომ ის შეაცდინა კოსტომაროვმა სიყვარულის და ცოლობის დაპირებით. არა, ეს საბუთი არ გამოდგება, ბ-ბო, ანფისას გასამართლებლად; მისთვის, რომ ანფისა არ იყო თითონ გამოუცდელი ბავშვი სქესობრივის საკითხში და ისიც კარგად იცოდა, თუ რამდენად საიმედო იყო ზნეობით გათახსირებული კოსტომაროვი, როგორც საგანი ნამდვილის სიყვარულისა. ქ-ნ ანფისამ კარგად იცოდა, რომ კოსტომაროვი წარმოადგენდა მისთვის უმთავრესად ერთს ღირებულებას; ის წარმოადგენდა სანინისებურ ტიპის სხეულით მაგარს ღონიერს მამა-კაცს, რომელმაც „სრულიად განითავისუფლა სხეული საზოგადოების ცრუმორწმუნოებისაგან“ თავისუფლად ეწევა გარყვნილობას! ის წარმოადგენდა მამალს ყველა ცხადად გამოხატული სქესობრივი ნიშნებით...

როგორც თვითონ სანინია, ისე მისი ნაცნობები: ექიმი ნოვიკოვი, მასწავლებელი ივანოვი, აფიცერი ზარუდინი და სხვები ჩვენ არ შეგვიძლია უმეცრებად და უნიჭოებად ჩავთვალოთ, მაგრამ ყველა ესენი ქალში უმთავრესად მოყვანილს გულ-მკერდს აფასებენ და მას მამლის თვალით უცქერიან. კოსტომაროვიც ხომ ნიჭიერი კაცი იყო და თანაც სანინი და ზოგიერთ მის ამხანაგებივით თავხედი, ამაყი და გამბედავი.

როგორს ქალს შეეძლო სანინისებურ ტიპის მამა-კაცის შეყვარება? იმისთანა ქალს, რომლის სულიერი განწყობილება ძალიან უახლოვდება სანინისა და მის ამხანაგებისას მით, რომ ის უმთავრესად ფიზიკურად განვითარებულს მამა-კაცს აფასებს.

არა მარტო სანინს, და მის ამხანაგ კაცებს სწამთ სხეულის კულტი, ამათ ჰყავთ თანამოაზრე, თანამგრძნობი ქალებიც: კარსავინა, ლიდა, ლიალია...

ნუ გამრისხავს ანფისა, თუ გავბედავ და ვიტყვი, რომ მას დიდი ნათესაობა აქვს არციბაშევის ტიპებთან, რომ ის დანებდება ფიზიკურად ღონიერს ვაჟკაცს კოსტომაროვს იმავე მოსაზრებით, რა მოსაზრებითაც კარსავინა დანებდა ღონიერს სანინს.

კარსავინას უფრო მეტი სიმართლე ჰქონდა მოეკლა სანინი, მაგრამ როგორც ქალმა, ბუნებით ნაზმა, კარსავინამ გამოიჩინა ხასიათი, მეტსაც ვიტყვი, მან გამოიჩინა გმირობა იმით, რომ გულში ჩაიკლა საშინელი ტანჯვა-მწუხარება...

ნუ თუ კარსავინას საქციელი დასაგმობია როგორც სიმხდალე, როგორც მონობა, და ეგოისტურ მოტივებით გამოწვეული საზიზღარი მკვლელობა, ანფისასაგან ჩადენილი, საქებარი და მოსაწონია!

დიახ, მხოლოდ ეგოისტური მოტივი ამოქმედებდა ქ-ნ ანფისას, როდესაც მან მთვრალს და ნახევრად მძინარე კაცს საწამლავი დაალევინა. მთელი მისი ბუნება დაიმონავა ძლიერმა სქესობრივმა გრძნობამ, მან ვერ შესძლო დათმობა კოსტომაროვისა, რადგან ის სწორუპოვარს სქესობრივს ღირებულობას წარმოადგენდა მისთვის...

იქნება ვინმემ სთქვას, — კოსტომაროვი საზიზღარი, ზნეობით გათახსირებული კაცი იყო და რაც ანფისამ მოიმოქმედა, ყველაფერი მისი ბრალიაო. მერე სადღა იყო ნების ძალა და ხასიათის სიმტკიცე ქ-ნ ანფისასი! ჩემთვის ახალი ამბავი არ არის, ბ-ბო, რომ საზოგადოდ დედა-კაცი თავის უბედურებას, თავის ზნეობრივად დაცემას მამა-კაცს აბრალებს, მზად ვარ დავამშვიდო ქალები; თანახმა ვარ ჯვარს ვაცვა გარყვნილი მამა-კაცი, მაგრამ ამასთან ორივეს მხრით ჯვრებზე უნდა იყვნენ გაკრულნი გარყვნილი ქალები, რომლებიც წმინდა სიყვარულის სახელს შეურაცხყოფენ სქესობრივის ლტოლვით. თუ ჯვარს აცვამთ კოსტომაროვს, მის გვერდით უსათუოდ უნდა აღიმართოს ჯვრები ანფისა და ნინოჩკასათვის.

ღმერთო ჩემო, ნუ თუ ყველა ქალები წმინდა თავისუფალ სიყვარულს ეძებენ და მხოლოდ ჩვენი ვერაგობა, ჩვენი გარყვნილება უშლის მათ ხელს! ნუ თუ ქალები ისე გულუბრყვილონი არიან, რომ არ იციან სხვა საშუალება მამა-კაცის გარყვნილების წინააღმდეგ გარდა საწამლავისა! თქვენი მტერია; ანფისასთანა ქალები რომ გამრავლდნენ, კაცობრიობას ძალიან მალე მოსპობენ, რადგან კოსტომაროვისთანა გარყვნილი კაცები ქვეყანაზე ბევრია.

დიახ, უმთავრესი ბიოლოგიური კანონი ბრძოლაა და ქალმაც, რა თქმა უნდა, უნდა იბრძოლოს თავის პიროვნების და შებორკილ სიყვარულის განსათავისუფლებლად, მაგრამ ამისთვის უფრო საიმედო და საქებარი იარაღი არსებობს ქვეყანაზე, ვიდრე საწამლავი. ეგ იარაღია — თითონ ქალის ზნეობრივად განვითარება, სრულჰყოფა...

მრწამს, რომ ქალს განვითარება შეუძლია... არ მიყვარს და არ ვივიწყებ პესიმისტურს აზრებს ქალების შესახებ ოტტო ვეინინგერის, შოპენჰაუერისა და მათ მზგავსთა მოაზრეთა. მწამს, რომ დიადია კაცობრიობის ცხოვრებაში დანიშნულება დედა-კაცისა; კიდეც ამისთვის შექმნა გენიოს მამა-კაცთა აღფრთოვანებულმა ფანტაზიამ მომხიბლავი კულტი მადონასი, შექმნა ბატრიჩე, ლაურა, სოლვეიგი... თვალწინ მიდგა სულმნათი რუსთაველი მუხლ-მოყრილი თავის სასოების თამარის წინაშე. მეც სასოებით მოვიყრი მუხლს ამ გულის წარმტაც სანახაობის წინაშე...

ნუ გაგიტაცებთ ტკბილი მოგონება, ბ-ნნო მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო, მართლაც ქვეყანა მარტო ღვარძლით არ არის სავსე. თქვენ ღრმა პატივსა სცემთ ქალს, რადგან ის ატარებს წმინდა, სათაყვანო სახელს დედისა და ცოლისას. დეე, მტრად გვიყურებდნენ დედაკაცები, ჩვენ მაინც ჩვენს ყველა სათაყვანო იდეალებს მშვენიერ ქალის სახით გამოვხატავთ. ჩვენს წარმოდგენაში ნამდვილი ქალი მაინც განხორციელებული მშვენიერებაა. ის ანფისასავით საშიშარ თვალებში არ გამოიყურება, არც მასავით გულჩათხრობილია და არც ბეჭედში საწამლავს ინახავს.

დეე, ბ-ნნო მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო, თქვენმა გამოუტყუნებელმა განაჩენმა ხელი შეუწყოს ანფისასათანა ქალების მოსპობას ქვეყანაზე, რადგან ისინი უზნეობის, გარყვნილების მეტს კაცობრიობას ვერაფერს შემატებენ. ანფისასთანა სუსტი ნების და ხასიათის ადამიანები ვერ შექმნიან ვერავითარს ბედნიერებას ტანჯულ კაცობრიობისათვის, ვერ შექმნიან ვერავითარ დადებითს ძალას.

მე არა ვსცემ პატივს შურისძიების ღმერთს, მაგრამ მე არა მწამს საწამლავით მოპოვებული პიროვნების თავისუფლება, მე არა მწამს საწამლავზე აგებული პროგრესი!

ილ. ჩიქოანი.

თეატრი და ხელოვნება

რუსული დრამა. ქართულ სახაზინო თეატრში, ამ მაისიდან რუსულმა დასმა პელტცერის ხელმძღვანელობით დაიწყო წარმოდგენების მართვა. ჯერ ჯერობით გამართეს ორი წარმოდგენა „ძლიერნი და სუსტნი“ და „ფიმკა“. ორთავე წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. მხოლოდ სამწუხაროდ მეორე წარმოდგენას წვიმის გამო ცოტა ხალხი დაესწრო, მაგრამ მსახიობნი მაინც ერთგულად და მშვენიერად განაგრძობდენ თამაშს. ეტყობა დასში ბევრი დახელოვნებული მსახიობია.

—

ხვალ, 24 მაისს ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლში წარმოდგენილ იქმნება ვ. ირეთელის პიესა „ქრისტინე“ და ი. გრიშაშვილის ვოდევილი „ტიმოთეს ლეკვი“.

—

დებიუტები ქართულ თეატრში. წინასწარ გამოცდის შემდეგ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ დებიუტები დაუნიშნა შემდეგ 7 პირთ: ქ-ნ ვიქტორიდს და დოდუას და ბ-ნთ არუთინოვს, ლობჟანიძეს, მამფორიას, ღოღაძეს და შანშიაშვილს! სინასწარ გამოცდაში მონაწილეობა მიიღო ოცამდე პირმა. სადებიუტო წარმოდგენის გამართვა მიენდო ვ. შალიკაშვილს.

—

იტალიანური ოპერა. სახალხო სახლში სამშაბათს, 25 მაისს სახალხო სახლთან არსებული მუსიკალური საზოგადოება სდგამს ოპ. „კარმენს“,

---

ოუკლო, სწორეთ ისე, როგორც ამის პეპლები იქცევიან ხოლმე.

ცრემლები?

განა არ შეიძლებოდა აქაც რაიმე ვალთ-მაქცობა ყოფილიყო? ყველაფერი საფიქრებელია.

ასეა თუ ისე, მე სახლში წასვლა ვაპირე, ის იყო უნდა გამოვბრუნებულიყავი, მაგრამ ქალმა შემომხედა და თვალი ჩამაშტერა, თითქოს გაიგო ჩემი განზრახვა და შეეშინდა, მსხვერპლი ხელიდან არ წამივიდესო.

ღმერთსაც მოუცია და კაცსაც ამეთქი, გავიფიქრე და გამოველაპარაკე.

აბა, რაზე უნდა მელაპარაკა სრულიად უცხო ქალთან შუა-ღამეში? ვროშე სისულელეები; ხან აქეთური ვსთქვი, ხან იქითური. ერთხანად ქალი ძალიან ცოტას ლაპარაკობდა. კითხვებზე მოკლე-მოკლე პასუხებს მაძლევდა, ხან და ხან ლაპარაკის დროს ხმა უკანკალებდა ხოლმე.

ძალიან უხერხულსა და სასაცილო მდგომარეობაში ჩავვარდი. დადიდა უგზო-უკვლოდ და მეც მასთან ერთად დავეხეტებოდი. ბოლოს მომბეზრდა ყველაფერი და პირდაპირ იერიში მივიტანე. მაგრამ აქაც სიფრთხილე დამჭირდა: ვაი თუ პატიოსანი ქალი იყოს და სირცხვილი არა ვჭამო-მეთქი.

— დიდი დარდი უნდა გაწუხებდეთ, თქვენს მთვარესავით ნათელს შუბლზე მწუხარების ბეჭედი აღბეჭდილა, — პოეტურად დავიწყე ჩემი ბაასი.

ქალმა წარბები შეიკრა; რაღაცას თქმა დააპირა, მაგრამ სიტყვები ყელში გაეჭედა: დიდს სულიერ დრამას განიცდიდა.

— რომ ვიცოდე საგანი თქვენი მწუხარებისა, როგორმე დაგეხმარებოდით. ეხლა კი მოკლებული ვარ ამ სიამოვნებას.

— თქვენი თავხედობა მაკვირვებს, წამოსთქვა ქალმა და თავისი ეშხიანი, ნამტირალევი თვალები შემომანათა.

ვერ მივხვდი, სიბრაზით სთქვა ეს სიტყვები, თუ სიკეკლუცით; მის მიმკრთალ სახეზე ვერაფერი ამოვიკითხე.

როგორღაც ენა ჩამივარდა, მხრები ღა ავიჩეჩე.

— ეს თავხედობა მხოლოდ სუსტი გამოხატულებაა ჩემი სულიერი მდგომარეობისა. რაში დაინახეთ თავხედობა?

— რა ჭკუაში მოგივიდათ უკან დადევნება? იქნება გგონიათ, მეძავ ქალთანა გაქვთ საქმე?

— სრულიადაც არა! მაგვარ ჩრდილს რათ აყენებთ თქვენს პიროვნებას? მიზეზი სრულიადაც უბრალოა: ცილინდრიანმა ჯენტლმენმა დამაინტერესა.

— ცილინდრიანმა? მერე მე რა შუაში ვარ? მაშინ იმას უნდა დასდევნებოდით.

— თქვენი ლამაზი ტუჩებით თვით ჭეშმარიტება ღაღადებს, მაგრამ იმ ჯენტლმენმა ისეთი სიბრაზით მიახეთქა კარები, რომ სწორეთ ის კარები, საიდანაც თქვენ გამოხველით, რომ...

— კარები მიახეთქა? თქვენ დაინახეთ ის კაცი? საით წავიდა? გაბრაზებული იყო? ოჰ, რასაკვირველია გაბრაზებული იქნებოდა! ჰა, ჰა, ჰა! სულელი, სულელი!..

ბოროტმა გრძნობებმა ნიაღვარივით გადმოახეთქა.

— იმან ვერ დაგინახათ, თორემ, უეჭველია, თქვენკენ წამოვიდოდა: სწორეთ იმ დროს შეუხვიეთ მეორე ქუჩისკენ, — ვცდილობდი მენუგეშა აღელვებული ქალი.

— პირ-იქით, პირ-იქით! ალბათ დამინახა, რომ აქეთკენ არ წამოვიდა. ის ასე მალე ვეღარ დამენახვება.

— ვინ იყო?

— ჩემი ქმარი.

— ქმარი?

— რამ გაგაოცათ?

ხმა ვეღარ ამოვიღე.

— სთქვით, რომ გაგაოცათ? ჩვეულებრივი მოვლენაა! ჰა, ჰა, ჰა? შუა-ღამისას ქმარი ერთ მხარისაკენ მიდის, ცოლი მეორე მხარისაკენ. განა ეს ჩვეულებრივი მოვლენა არ არის? აბა, ჩემ ქმარსა ჰკითხეთ, თუ ტყუილს ვამბობ? სულელი, სულელი!

შემეშინდა, ისტერიული ტირილი არ აუტყდეს მეთქი, და ცოტა-ხანს დავჩუმდი, ხმა აღარ გავეცი. ქალიც დამშვიდდა. მომბეზრდა ხეტიალი. ან დაბოლოვდეს საქმე, ან არა და, მშვიდობით მეთქი, ვიფიქრე და პირდაპირ საქმეს შევუდექი.

— ამ საღამოს ჩაი არ დამილევია და ვახშამი მინდა ვჭამო. იქნება თქვენც წამობრძანდეთ სავახშმოთ?

ქალი ცოტა ხანს ჩაფიქრდა.

შუბლზე ხელი გადაისვა, თითქოს მის გულში ორი წინააღმდეგი გრძნობა ერთმანეთს ებრძვისო, და ბოლოს მტკიცეთ სთქვა:

— ძალიან კარგი, წავიდეთ!.

პირველი ნაბიჯი გადადგა, იგი დაეშო დაღმართზე. ცხადზე უცხადესი იყო, რომ ერთს ნაბიჯს მეორე მოჰყვებოდა, და ჩვენი უცნაური გაცნობაც თავის ლოგიკურ დასკვნამდე მივიდოდა.

იქვე ახლო კარგი რესტორანი იყო.

შევედით.

— თქვენთვის უხერხული იქნება აქ ვახშმობა; სჯობიან, ცალკე ოთახში შევიდეთ. იქ არავინ დაგვიშლის.

ქალი შეკრთა, სახეზე ალმურმა გადაჰკრა, თითქოს ეს არის ეხლა მიხვდა, რითაც უნდა დაბოლოვებულიყო ჩვენი უცნაური გაცნობა.

ტუჩებზე ბოროტმა ღიმილმა გადაურბინა.

შემომხედა; თვალები ნაკვერჩხალივით გაუხდა; ვგრძნობდი გული როგორ უცემდა; მისი მოხშირებული სუნთქვაც ძალიან კარგად მესმოდა...

იგი ვნებათა ღელვით იწოდა... სანამ რესტორანში შემომყვებოდა, ჩუმად და წყნარად მოდიოდა. მის თვალებში ნაღველისა და მწუხარების მეტს ვერაფერს დაინახავდი. თვალები, კილო, მთელი მისი ბუნება ნათლად მეუბნებოდა, რომ იგი დიდს სულიერ დრამას განიცდიდა; დრამა კი იმაში იყო, რომ იგი პირველად ჰღალატებდა ასე უცნაურ, მისთვის სრულიად უცხო ყმაწვილთან.

ეხლა კი... ეხლა ვნებათა ღელვის ცეცხლით იწოდა მისი გული, სახე წამოუწითლდა, ტუჩები გაუხმა... თითქოს ათის წლის დაგუბებულმა გრძნობებმა ერთბაშად გადმოხეთქესო.

ქალმა გატაცებით ჩამკიდა ხელი, ნაკვერჩხალივით ცხელი ხელი.

— წავიდეთ!.. მტკიცეთ წარმოსთქვა მან, და ოთახში შევედით.

. . . .

უკვე გათენება იყო, რესტორანიდან რომ გამოვედით.

ქალაქს ეძინა.

აღმოსავლეთით მოლურჯო ცას სინათლე შეჰპაროდა.

გამოვედით დაქანცულები, უძილონი.

დილის სუფთა ჰაერმა შუბლი გაგვიგრილა და ორივენი ცოტათი შეგვაჟრჟოლა.

ქალი ძლიერ გაფითრებული იყო. თვალები როგორღაც ჩავარდნოდა, არ მეგონა, თუ ერთი ღამის განმავლობაში ასე ძალიან გახდებოდა.

ჩავარდნილ თვალებიდან უსაზღვრო მწუხარება გამოსჭიოდა...

— მშვიდობით! — და ხელი გამომიწოდა.

— ეხლა მაინც მითხარით, ვინა ხართ?

— არასოდეს! მშვიდობით! გუშინდელი ღამე თქვენი იყო! კარგად იყავით, მშვიდობით!..

განვშორდით... **თომა ეული.**

რომელშიც აქ მყოფნი იტალიანური ოპერის არტისტები გამოვლენ. მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე ცნობილი ბარიტონი ბ. დანისი, ტორეადორის როლში.

უცხოეთი

მოძრაობა ალბანიაში. ალბანიაში საქმის მდგომარეობა ისევ რთულდება. 15 ათასი ალბანელი შეკრებილა ქალაქ იპეკთან. ახლო მომავალში მოელიან მათ შეტაკებას ოსმალეთის ჯარებთან.

საბერძნეთის საქონლის ბოიკოტი. მცირე აზიის პორტებში ტრაპიზონდში, სამსუნში და სხვ. ოსმალებმა დაიწყეს ბოიკოტი ბერძენთა გემებისა.

ზანგების აჯანყება კუნძულ ლებანზე. ბერლინელ გაზეთებს ატყობინებენ, რომ ჰავანაში ზანგების შეთქმულობა აღმოუჩენიათ, რომელიც თითქმის მთელ კუნძულს მოსდებია. დატუსაღებულია რამოდენიმე ასი ზანგი. ჯარები გაგზავნილია სხვა და სხვა კუთხეებისკენ. ჰავანაში გამოცხადებულია სამხედრო წესები. პოლიციელებს ნაბრძანები აქვთ არ გაუშვან ზანგები ყაზარმებიდან. ზანგებს განზრახვა ჰქონიათ ერთი დღის განმავლობაში კუნძულზე ყველა თეთრ-კანიანი მცხოვრებლები გაეწყვიტათ. დაჭერილია იარაღი და დინამიტის დიდ-ძალი ტრანსპორტი, რომელიც ნეგრებს კუნძულ იამაკიდან მოუტანიათ. ბევრ ადგილას კუბაზე უკვე დაწყებულა ზანგების აჯანყება. ჰავანაში ცნობები მოდის იმ დამარცხებათა შესახებ, რომელსაც განიცდიან მთავრობის ჯარები. მოსალოდნელია, შეერთებული შტატების ჩარევა. ეს ჩარევა უწინარესს ყოვლისა იმაში გამოიხატება, რომ გადაყენებულ იქნება მთელი ადმინისტრაცია, რომლის მექრთამეობა საიგავ-არაკოდაა ცნობილი მთელს ამერიკაში. ეხლანდელ პრეზიდენტ ხოზე გომეცის დროს სახაზინო ფულის ტაცობამ იქამდის მიაღწია, რომ მთავრობას აღარ ძალუძს არსებითი ხარჯების დაფარვა.

რუსეთი

◆ **მუსულმანების პროტესტი.** მილიუკოვს და ზოგ სხვა ცნობილ დეპუტატებს მრავალი პროტესტი მისდით სხვა და სხვა კუთხის მუსულმანებისაგან სათათბიროს მიერ მიღებულ კანონ-პროექტის წინააღმდეგ საკვირაო დასვენების შესახებ. მუსულმანები ითხოვენ, რომ მათ კვირის მაგიერ მათ ნება მიეცეთ პარასკევი იუქმონ.

◆ **ნავთი სახალინში.** როგორც ტელეგრამმები იუწყებიან, სახალინში ნავთი აღმოჩენილა.

◆ **თვითმართველობა ყარსში.** სახელმწიფო საბჭოს კომისიამ უარჰყო კანონ-პროექტი ქალაქის თვითმართველობის შემოღების შესახებ ყარსში. მიზეზად მოყვანილ იქმნა, რომ რუსთა ინტერესი არ იყო დაცული კანონ-პროექტშიო.

◆ **ხულიგანების თავგასულობა.** „რუს. ზნამიას“ ღვირაშვებულობა საზღვარს გადასცილდა. იგი იქამდის გათამამდა, რომ აშკარად ჰქადაგებს მუშტიკრივს და მკვლელობას და მის ჩამდენს ქება დიდებას ასხამს. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ამით გათამამებული ნაძირალები ათასნაირ სისაძაგლეს სჩადიან. მაგ. ერთ ამ ნაძირალთაგანს ვინმე ფოტინ კლიუევს სათათბიროს წევრი მილიუკოვი დუელში გამოუწვევია. თუ იგი მაზე არ დასთანხმდება კლიუევი, საჯაროდ აცხადებს რომ „ყველა, უწინარესს ყოვლისა თვით ის ფოტინ კლიუევი ისე მოექცევა მას ქუჩაში როგორც სურს“. გერცენშტეინის მოკვლის დროს ხულიგანები ფარულად მაინც მოქმედებდნენ, ეხლა საყოველთაოდ და უშიშრად აცხადებენ თავიანთ განზრახვას. მართლაც ბედნიერია რუსეთი, რომ ასეთი „გულ შემატკივარნი“ ჰყავს!.

◆ **უარის განცხადება.** პეტერბურგის სამთო ინსტიტუტში მოხდა საბჭოს კრება, რომელზედაც ინსტიტუტის დირექტორი უნდა აერჩიათ. ერთხმად აირჩიეს აკადემიკოსი ჩერნიშევი, მაგრამ მან ამ თანამდებობაზე უარი განაცხადა. ამ თანამდებობაზე შემდეგ აირჩიეს პროფესორები კურჩაკოვი და ლიპინი, მაგრამ მათაც კატეგორიულად უარი განაცხადეს დირექტორობაზე. ამის შემდეგ აირჩიეს პროფესორები ნიკიტინი და დოლბნია. მათგაჯერ პასუხი არ ისმის.

◆ **სათათბიროს კომმისია უნივერსიტეტის შესახებ.** ახალ კანონ-პროექტის განსახილველად უნივერსიტეტთა შესახებ არჩეულ კომისიაში შედიან: მემარჯვენეები პროფ. ვიაზიტინი, პურიშკევიჩი, შულგინი და ზამისლოვსკი; ნაციონალისტები—ბოგდანოვი ალექსეევი, კლოპოტოვიჩი, მიტვილოვი და პროვი ოქტომბრისტები—ანრეპი, კაპუსტინი, მეიენდორფი, ალექსეენკო (ოთხივენი პროფესსორია), გოლიცინი, კურავინი და გოდნევი; ოპპოზიციიდან კი—პროფ. მილიუკოვი, პროფ. ლუჩიცკი, ნეკრასოვი, გარუსევიჩი (პოლონელი), ს. ღათელიანი, სოკოლოვი, კომსინი და პოკროვსკი თავმჯდომარედ ასახელებენ პროფ. კაპუსტინს.

◆ **ბალაკირევის გარდაცვალება.** 16 მაისს გარდაიცვალა ცნობილი კომპოზიტორი ბალაკირევი, რომელიც, სხვათა შორის, ქართულ მუსიკასაც აქცევდა ყურადღებას.

◆ **პერიოდული გამოცემანი.** 1909 წელს პერიოდული გამოცემათ ჰქონია ალაგი რუსეთის 198 ქალაქში. ამ ქალაქებიდან როგორც გამოცემათა მიხედვით ისე ტირაჟით პირველი ადგილი უჭირავს: პეტერბურგის გუბერნიას, სადაც 393 პერიოდული გამოცემა ყოფილა სამი მილიონი ტირაჟით, მოსკოვისას (94 გამოცემა 830,450 მან. ტირაჟით), ვარშავისას (134 გამ. 604,850 მ. ტირ.), ხერსონისას (51 გამ, 189,230 მ. ტირ.) და კიევისას (55 გამ. 155,260 მ. ტირ.), შემდეგ მისდევენ—ხარკოვის გუბერნია (18 გამ. 61,800 მ. ტირ.), სარატოვისა (19 გამ. 28,000 მ. ტირ.), ნიჟეგოროდისა (11 გამ. 24,700 მ. ტირ.), ვიატკისა (11 გამ. 13,140 მ. ტირ.). ვორონეჟისა (7 გამ. 7470 მ. ტირ.) ვლადიმირისა (5 გამ. 7010 მ. ტირ.), ტულისა (4 გამ. 4950 მ. ტირ.), კალუგისა (3 გამ. 2,940 მ. ტირ.), ნოვგოროდისა (5 გამ. 2630 მ. ტირ.), მოგილევისა (2 გამ. 2420 მ. ტირ.) და გროდნოსი (1 გამ. 2000 მ. ტირ.), ყველაზე უკანასკნელი ალაგი, როგორც გამოცემათა რიცხვით ისე ტირაჟით, ვორონეჟის გუბერნიას უკავია (1 გამ. 150 მ. ტირ.).

წერილი რედ. მიმართ

„დროების“ № 98 № დაბეჭდილი იყო დ. ბორჯომიდან წერილი 23 აპრილს გამართულ სეირნობის და წარმოდგენის შესახებ. ეს წერილი ეკუთვნის ბ. ვაშაკიძეს, რომელმაც თავისს წერილს ვითომდა ანგარიშის ხასიათი მისცა და თავისს თავს რაინდად „გამგე“ დაარქვა. ეს რაინდობა მარტო იმაში კი არ გამოიხატა რომ ბ. კორესპონდენტმა წერილს „გამგე გ. ვაშაკიძე“ მოაწერა, არამედ და უმეტესად იმაში, რომ იგი თავგამოდებით სწერს: „გავმართეთ სეირნობა“, „მოვიწვიეთ სამხედრო (?!,.) ორკესტრი და ზურნა“, „მივმართეთ.....“ „ყველას დიდ მადლობას უძღვნით“., და სხვა, სწორედ ისე, როგორც კრილოვის იგავის ბუზი გაიძახოდა: „ჩვენ ვხნავდით“. ბუზი რქებზე მაინც აჯდა ხარს, რომელიც ხნავდა, „გამგე გ. ვაშაკიძე“ კი ბორჯომში არც კი იმყოფებოდა იმ დროს, როდესაც გამგეობა ძალიან საჭირო იყო და როდესაც სეირნობის გამმართველნი ანაწილებდნენ შრომას. სეირნობა და წარმოდგენების გამართვას ბევრმა პირმა შეუწყო ხელი, მაგრამ უმთავრესი შრომა და გამგეობა ბ.ბ. მ. ქიმერიძეს და ზ. დანელიას ეკუთვნის.

რაც შეეხება „ანგარიშს“, იძულებული ვარ გაზეთის საშუალებით მოვთხოვო ბ. ვაშაკიძეს ნამდვილი და დაწვრილებითი ანგარიში, წარმოუდგინოს გამგეობას, რადგანაც ჩემი სიტყვიერ და წერილებით მიმართვას ის უყურადღებოდ სტოვებს.

და ყველა ამის შემდეგ „გამგე გ. ვაშაკიძე“ ნებას აძლევს თავისს თავს მართლა და „ჭორები“ გაავრცელოს, ისიც გაზეთის საშუალებით, და დასწიხლოს ის გულ-ახდილნი პირნი, რომელნიც მას პირში უცხადებენ მისს ბავშვურ მეტიჩრობას.

ქ. შ. წ. კ. გ. ს. ბორჯომის განყოფილების თავმჯდომარე.

ვლ. ყიფიანი.

განცხადებანი

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—106)

ექიმი ვ. ლამბაშიძე
გადავიდა გოლოვინის პრ, N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მელიქოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა (უ)

ექიმი ვასილ წერეთელი
ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მიხა ქიქოძის სახლი. (0—უ—190)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი
„ნაკადული“
(წელიწადი მეექვსე)
1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:
24 წიგნი მცირე წლოვანთათ **12** წიგნი მოზრდილთათვის.
გარდა ამისა **მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი** (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის): 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი»—ზღაპარი ევალდისა; 2. «მარჯნები».—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი და“—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.
ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.
ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთ ქარვასლაში).

ივ. გრ. ხალათიანი
იღებს ყოველგვარ განცხადებას ადგილობრივ და სხვა ქალაქების გაზეთებისათვის.
ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს გაზეთ „დროება“-ს კანტორაში: დიდი ვანქის ქ., № 12. (0—20)

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში
იყიდება

1.	ი. ჭავჭავაძე. კრიტიკული წერილები	25 კ.
2.	ი. ჭავჭავაძე. პოლემიკური წერილები	10 „
3.	ი. ჭავჭავაძე. ცხოვრება და კანონი	25 „
4.	ი. ჭავჭავაძე. აი ისტორია	35 „
5.	აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული	40 „
6.	აკაკი. თორნიკე ერისთავი	35 „
7.	აკაკი. კრილოვის იგავ არაკები, სურათებით	50 „
8.	აკაკი. ქუთათლის სიზმარი	5 „
9.	აკაკი. ნაცარქექია	10 „
10.	აკაკი. გოგია მეჩანგურე	5 „
11.	ნ. ბარათაშვილი. ლექსები	5 „
12.	ე. ნინოშვილი. გოგია უიშვილი	5 „
13,	ე. ნინოშვილი. პალიასტომის ტბა	5 „
14.	ა. ყაზბეგი. ელისო	10 „
15.	ვაჟა-ფშაველა. ცრემლები, ლექსები	50 „
16.	კარიჭაშვილი დ. საქართველოს მოკლე ისტორი. ნ. ს.	40 „
17.	ნ. მარრი история грузіи	25 „
18.	ი. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლება	15 „
19.	ი. ჯავახიშვილი. საქარ. ეკონომიური ისტორია	40 „
20.	ი. ჯავახიშვილი. ქართველ ერის ისტორია	60 „

და სხვა ყოველ გვარი ქართული წიგნი.

◀ სამეურნეო ჟურნალი ▶
მოსავალი
წელიწადი მეორე
მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**
თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.
რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.

ვ. ყიფიანის დრამა
სამეგრელოს მთავარი ლევან
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა
ფასი ორი აბაზი
ყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დილით:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა: 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.
საღამოთი:
ქალ. ექ. პ ს. ზილბერშაცი: 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

მატარებლების მიმოსვლა

18 აპრილიდან 1910 წ.

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

ტფილისიდან გადის

ბათუმისკენ: N 1, სწრ.—საღ. 11 ს. 28 წ.
N 3, საფ-ს.—დღ. 1 ს. 24 წ.
N 5, სამგზ.—საღ. 7 ს. 31 წ.
ბაქოსკენ: N 2, სწრაფ—დილ. 8 ს. 15 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 10 ს. 4 წ.
N 12, სამგზ.—დღ. 2 ს. 38 წ.
ბორჯომისკენ: სამგზ.—დილ. 8 ს. 28 წ.
სამგზავ.—დღ. 3 ს. 36 წ.
ჯულფისკენ: საფოსტო—ღამ. 12 ს. 22 წ.
ერევნისკენ: სამგზავრო—დღ. 4 ს. 15 წ.

ტფილისში მოდის

ბათუმიდან: N 2, სწრ.—დილ. 7 ს. 25 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 9 ს. 4 წ.
N 6, სამგზ.—დილ. 11 ს. 4 წ.
ბაქოდან: N 1, სწრფ—საღამ. 10 ს. 36 წ.
N 3, საფოს.—დღ 12 ს. 24 წ.
N 1. სამგზ.—დილ. 6 ს. 58 წ.
ბორჯომიდან: სამგზ.—დილ. 6 ს. 28 წ.
სამგზ.—საღამ. 8 ს. 08 წ.
ჯულფიდან: საფოსტ.—დილ. 6 ს. 8 წ.
ერევნიდან: სამგზავ.—დღის, 6 ს. 33 წ.

ყ ვ ე ლ ა მ,
ვისაც სურს გააკეთოს რაიმე სავაჭრო ან სხვა საქმე თავისავე ინტერესების სასარგებლოდ, წინ და წინვე უნდა შეიხედოს ნამესტნიკის მიერ [illegible]თულ კავკასიაში ერთად-ერთ
სავაჭრო-სამრეწველო ბიუროში
ი. ფონ-ბრენერისა.
სერგეევის ქ. № 4.
იქ იგი მიიღებს სინდისიერ და საქმიან რჩევას, საჭირო ცნობას და სხვას: იქვე დროს დაუკარგველად შეიძლება მოგვარება ყოველგვარ საქმისა, დაწერა ხელშეკრულებისა, კონტრაქტისა, შედგენა ხარჯთ-აღრიცხვისა, პროექტებისა, შენობათა გეგმებისა, შემოწმება საანგარიშო წიგნებისა, გადათარგმნა სხვა-და-სხვა ენებზე საბუთის ქაღალდებისა, შედგენა წერილებისა და სხვა, თანაც შეუძლიან ხსენებული ბიუროთი ისე ისარგებლოს, როგორც თავის საკუთარ კაბინეტით. კანტორა სულ მცირე ფასს იღებს.
გამოცდილი მოსამსახურეები. საკომერციო საიდუმლოს სასტიკად დაცვა. (10—ლგ.—10)

ბიბლიოთეკა

„ველტალ-ვაჩის“ საათები ჟენევაში.
ამ მარკას გარანტია აქვს, ის ცნობილია ყველაზე სოლიდურ, საუკეთესო საათების მკეთებელ—„ველტალ-ვაჩის“ ფაბრიკა ჟენევაში თავისით მთელს დედამიწის ზურგზე 50.000 საათს ჰყიდის; ეს ფირმა ცნობილია როგორც ყველაზე კეთილ-სინიდისიერი. მამაკაც. საათი შავი ფოლადისა, ძლიერ თხელი ვერცხლის მანეთის ოდენა, მიმართვა უკლიებოთ, რემონტუარი ერთხელ 40 საათში, 15 ქვა. ფასი მხოლოდ 3 მ. 25 კ., ორი საათი 6 მ. ასეთივე ქალის 4 მ., გაგზავნა 4 ცალ. 40 კ. (ციმბირში 75 კ.). ასეთივე მამაკაც. «**ანკერი**» 18 რუბინზე „**ლევე ვიზიბლით**“ უეჭველად სწორი მუშაობა უმაღლ. **ხარის.** 5 მ. 25 კ. 2 საათი 10 მ. იგზავნება ფას-დადებ. უზეოთ 6 წლ. თავდებობით: თუ საათი არ მოგეწონებათ, ფულს უკან ვაბრუნებთ. მოდის ლამაზი ჯაჭვი ამერიკ. ოქროსი პრელოკ. 75 კ. და 1 მ. 50 კ. ოქროსფ. 2 მ. 50 კ. და 3 მ. 50 კ.
ადრესი: Экспортн. домъ И. Штурмфельдъ, Варшава Св. Креста, N 48 отд. 12, გთხოვთ ადრესი ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.
Метцль и К-о N 34052. (4—2)

ამხანაგობა „იშჩანეც“ ბაღი და რესტორანი
ქართ. თავად-აზნ. ადგილობრივ საზაფხულო თეატრთან. შესავალი მარჯვენა მხრიდან, გალერეიდან. ყოველ დღე დილისით 2 ნახ ს. 5-ის ნახ. ს. და საღამოთი 9-ის ნახ. ს. ღამის 2-ის ნახ. ს. უკრავს ვენის ცნობილი ავსტრიიდან მოსული საკონცერტო სიმებიანი
ქალების ორკესტრი
ქ-ნ პეშლის გამგეობით.
სადილი და ვახშამი
სადილი 1 საათ. ნაშუადღევის 5 საათამდის.
2 თავი საჭმელი 50 კაპ., 3 თავი 75 კაპ., 4 თავი 1 მან. სადილს იძლევიან სახლში წასაღებადაც.
საჭმელები ადგილობრივი და ევროპიული.
რესტორანში არის სამი სრულიად ახალი **ბილიარდი** და **ნარდი.**
არის აგრეთვე კაბინეტებიც. მიიღება შეკვეთა საქორწილო წვეულებებზე, პიკნიკებზე, სადილებზე, ვახშმებზე, რამდენ კაცზედაც უნდა იყოს. არის მოხარდ ხებული როტონდა ნადიმებისათვის და აგრეთვე ახალი ადგილი დიდ კაკლის ხის ქვეშ. ძლევენ ქირით სადილის სერვიზს. ტელეფონი № 812. ბაღში შესვლა უფასოა. (10—ხალ.—9)

ელექტრონის გილზის ფაბრიკა
„როზა“
(„ვარდი“)
ტფილისი, უჩების შესახვევი, № 5. ტელეფონი № 602.
საკვირველად მშვენიერი გილზები მეტად წმინდა ფრანგულ ქაღალდისა. იყიდება ყველგან. (100—ტ.—18)

სანერგე ამერიკულ ვაზისა
„კლო-უგურული“ ქუთაისში.
● **უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში** ●
1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.
მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.
აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—ნ.—43)

◀ **დიდი იაფობა** ▶
20 მაისიდან 10 ივნისამდე
პარიზის მაღაზია
დამზადებულ ტანისამოსისა
ძმ. საფარიანცისა და ტერ-საამოვისა
ნიშნავს დიდ
იაფობას
◀ 20 მაისიდან—10 ივნისამდე 1910 წ. ▶
ფასები შეუვაჭრებლად
გოლოვინის პროსპექტი ტელეფონი № 258 (10—3)
20 მაისიდან 10 ივნისამდე
◀ **დიდი იაფობა** ▶

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3
რედაქტორ-გამომცემელი დ. ხრამელაშვილისა.